ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ებ ა

ბრძანება:**ბ70. 70232138**

თარიღი:**01/08/2023**

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებისა და ,,საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 მარტის N54 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივლისის N20 განკარგულების საფუძველზე ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. საჩხერე, ქუჩა ივ.გომართელი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 38.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ს/კ N35.01.45.928) პრივატიზება.

2. ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნის საფუძველზე 4000.00 ლარით. ,,ბე“ და „ბიჯი“_საწყისი საფასურის 10-10 პროცენტი.

3. ელ-აუქციონის დაწყების დროდ განისაზღვროს 2023 წლის 9 აგვისტო, 12:00 საათი და დასრულების დროდ, ამავე წლის 17 აგვისტო, 12:00 საათი.

4. ბრძანება გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს და სააუქციონო კომისიას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი:ქ.საჩხერე, დ. აღმაშენებლის ქუჩა N3).

ლევანი ივანაშვილი

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი